

- 1. პროექტის დასახელება:** ორგანული სოფლის მეურნეობის და სოფლის ტურიზმის განვითარება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

დონორი ორგანიზაცია: ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA)

განმახორციელებელი პარტნიორი: ბიოლოგიური მეურნეობის ასოციაცია "ელკანა"

დაწყების დასრულების თარიღები: 2019-2024წწ.

პროექტის მიმდინარეობა: დაინტერესებული მხარეების საჭიროებების კვლევა ჩატარდა და შეიქმნა შესაძლებლობების გაძლიერების გეგმა, 2. შეიქმნა 8 სასწავლო მასალა (2 ბეჭდური და 6 ვიდეო კურსი), 3. 16 თემატურ ტრენინგში ჯამში მონაწილეობა მიიღო 716 ბენეფიციარმა (ფერმერები, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლების და სხვა დაინტერესებული პირები).
- 2. პროექტის დასახელება:** "სურსათი პროგრესისთვის 2018" „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQIL)

დონორი ორგანიზაცია: აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი (USDA)

განმახორციელებელი პარტნიორი: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო/ლენდ ო'ლეიქს ინთერნეშენალ დეველოპმენტ საქართველო

დაწყების დასრულების თარიღები: 2018-2026 წწ.

პროექტის მიმდინარეობა:

 - ტრენინგები რძის ხარისხის და მისი კვლევის პრინციპების შესახებ, მონაწილე კომპანიებს გადაეცათ რძის ანალიზატორები (40 მონაწილე).
 - განხორციელდა სექტორული კვლევა - „ახალი და ნიშური რძის პროდუქტების პოტენციალის განვითარების კვლევა“.
 - განხორციელდა სექტორული კვლევა „მსხვილფეხა საქონლის სიკვდილიანობის მონაცემების შესახებ“.
- 3. პროექტის დასახელება:** ნორმან ე. ბორლაუგის საერთაშორისო სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სასტიპენდიო პროგრამა (Borlaug Fellowship Program ან BFP)

დონორი ორგანიზაცია: აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი (USDA)

განმახორციელებელი პარტნიორი: Land Grant Universities or research organizations

დაწყების დასრულების თარიღები: 2024წ.

პროექტის მიმდინარეობა: ბორლაუგის სტიპენდიების პროგრამა (BFP) ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას, სასურსათო უსაფრთხოებას და ეკონომიკურ ზრდას, ტრენინგისა და ერთობლივი კვლევის შესაძლებლობის მიწოდებით საშუალო კარიერის მეცნიერებისთვის, მკვლევარებისთვის ან პოლიტიკის შემქმნელებისთვის განვითარებადი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებიდან. პროგრამა მხარს უჭერს FAS-ის სამივე სტრატეგიულ მიზანს: ვაჭრობის ხელშეწყობა, სავაჭრო პოლიტიკა და სავაჭრო შესაძლებლობების განვითარება და სასურსათო

უსაფრთხოება, მათ შორის აშშ-ს სოფლის მეურნეობის ექსპორტის გაზრდა განვითარებად და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისა და პოლიტიკის გაძლიერებით.

4. პროექტის დასახელება: საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (GRAIL)

დონორი ორგანიზაცია: IBRD/საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

განმახორციელებელი პარტნიორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დაწყების დასრულების თარიღები: 2023 – 2029წწ.

პროექტის მიმდინარეობა:

ჩატარდა საჭიროების სწრაფი კვლევა ზედა რუსა და ქვემო სამგორის სისტემებზე, საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით, რათა გრანტების პროგრამა და სხვა ტექნიკური საქმიანობები მაქსიმალურად მორგებული იყოს ფერმერის საჭიროებებს.

- შემუშავდა და დამტკიცდა საბაზისო კვლევის ჩასატარებლად ტექნიკური დავალება, მოხდა ტენდერის გამოცხადება კვლევითი ორგანიზაციის გამოსავლენად და მათთან კონტრაქტების გამოსავლენად.

5. პროექტის დასახელება: კომპლექსური ეპიდემიოლოგიური კვლევა და კონტროლი თურქულის დაავადებაზე(FMD) სომხეთსა და საქართველოში

დონორი ორგანიზაცია: თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA)

განმახორციელებელი პარტნიორი: სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (SLA)

დაწყების დასრულების თარიღები: 2022-2025წწ.

პროექტის მიმდინარეობა:

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები:

- ✓ საქართველოსა და სომხეთის რეგიონებში სამიზნე ცხოველების: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევა;
- ✓ ახალი RT-PCR ტესტის შემუშავება;
- ✓ ეპიდემიოლოგიური კვლევები თურქულის დაავადებაზე მაღალი რისკის პოპულაციებში, შინაური ცხოველების: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორები, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი;
- ✓ სწავლებები (სეროლოგია, მოლეკულური ბიოლოგია, სეკვენირება);
- ✓ თურქულის დაავადების გენეტიკური მახასიათებლების განსაზღვრა (კვლევის საფუძველზე);
- ✓ სეკვენირებით ახალი თაობის სეკვენსის (NGS) გამოყენებით.
- ✓ 3 (სამი) წლის განმავლობაში პროექტის ფარგლებში საქართველოსა და სომხეთში სულ გამოკვლეული იქნება: 19,104 (სისხლის და შრატის) ნიმუშები.